პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 36 (6597)
21
1980 წ.
თებერვალი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მესამეთ...

**ასეთი** რამ იშვიათად ხდება. საბჭოთა მოციგურავე ვ. ლობანოვმა (მოსკოვი) და ნორვეგიელმა ფ. რიონინგმა — შეჯიბრების ორგანიზატორები აიძულეს „დამატებითი" ბრინჯაოს მედალი გაეთებინათ. საქმე ისაა, რომ ამ სპრინტერებმა 1000 მეტრზე ჩვეულებრივ გარბენში აბსოლუტურად ერთნაირი შედეგი 1.16,91 აჩვენეს და III ადგილი გაიყვეს.

ჩემპიონობის ბედი კი პირველივე წყვილის გარბენში გაირკვა. ამერიკელი ე. **ჰაიდენი**, რომელმაც ლეიკ-პლესიდში უკვე მოასწრო ორი ოქროს მედლის დასაკუთრება, ამჯერადაც შეუდარებელი იყო 1.15,18. კანადელი **გ. ბუშე** მას კარგა ხანს უწევდა ღირსეულ წინააღმდეგობას. მაგრამ, როცა ფინიშამდე მანძილის მესამედი იყო დარჩენილი, ჰაიდენის უპირატესობა თვალსაჩინო გახდა. ამ გამარჯვებით ამერიკელმა მოციგურავემ მესამე ოქროთი დაიმშვენა მკერდი. ბუშე მეორე ადგილს დასჯერდა 1.16,68.

## დასანანი მარცხი

**ვიტყოგინეგოდით**, რომ სამთომოთხილამურე ვაჟთა გიგანტური სლალომის პირველ ტრასაზე შეჯიბრებაში მონჩეგორსკელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა კ. ციგანოვმა მეექვსე შედეგი აჩვენა, ოღონდ მან მეორე ტრასაზე ასევე წარმატებით ასპარეზობის შემთხვევაში საპრიზო ადგილის შანსს აძლევდა.

ციგანოვს უკანასკნელ მომენტში ბედმა ზურგი შეაქცია. ტურნირის მეორე დღეს შუა დისტანციის მერე მონჩეგორსკელი ოსტატი მეორე შედეგით მიქროდა ფინიშისკენ. იგი მხოლოდ მსოფლიოს თასის მრავალგზის მფლობელს, შვედ ი. სტენმარკს ჩამორჩებოდა და მაშინ, როცა ფინიშამდე სულ 2 კარი იყო გასავლელი, ციგანოვი დაეცა. დასანანი მარცხია.

ამ დღეს ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა **სტენმარკი** 1.20,25. შეჯიბრების ლიდერმა ა. ვენცელმა (ლიხტენშტეინი) მასთან თითქმის 3 წამი წააგო. რამაც 2 დაშვების ჯამში (2.41,49) მას მეორე ადგილი მოუტანა. გამარჯვებულის დროა 2.40,74. ბრინჯაოს მედალი ერგო ავსტრიელ **ჰ. ენს** — 2.42,51.

## დღეს და ხვალ ოლიმპიადაზე

**დღეს** ჰოკეისტები ისვენებენ. სამთომოთხილამურე ქალები დღეს დაამთავრებენ გიგანტურ სლალომში. 1500 მეტრზე მორბენალი მოციგურავე ვაჟები და მოთხილამურე ქალები თავიანთ უკანასკნელ სახეობაში 4Х5 კმ-ზე ესტაფეტაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. დღესვე დამთავრდება ვაჟების ასპარეზობა ფიგურულ სრიალში. **ხვალ** დაიწყება ჰოკეისტთა ფინალური ტურნირი და დარიგდება მედლების ორი კომპლექტი. ერთს სლალომისტი ვაჟები გაინაწილებენ, მეორეს — ბიატლონისტები 4Х7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში.

# ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

## ნერვიულობის ზედმეტი საათები

**ჩვეულებრივ**, ფიგურისტების შეჯიბრება კომპაქტურად, შეუსვენებლად მიმდინარეობს. წყვილებს კი ყოველი გამოსვლის შემდეგ ერთ დღეს ისვენებენ. ზოგიერთებისთვის ეს ძალების აღსადგენი პაუზაა, ზოგისთვის კი ნერვიულობის ზედმეტი საათები. ასე იყო ლინიჩუკისა და კარპონოსოვისთვის. ისინი ლიდერობდნენ პირველი სავალდებულო ცეკვის შემდეგ, მაგრამ მუდამ გრძნობდნენ, როგორც მორბენლები ამბობენ, ზურგსუკან მეტოქეთა სუნთქვას.

რა თქმა უნდა, ყინულზე გასვლის წინ ღელავდნენ ლიდერები, მათი მწვრთნელები და ჩვენი მოცეკვავე წყვილთა წარმატებას მიჩვეული ჟურნალისტები. მაგრამ გამარჯვება კვლავ მოვიდა — **ნ. ლინიჩუკმა და მ. კარპონოსოვმა** ჩემპიონობა მოიპოვეს — 101,28 ქულა (ადგილების ჯამი 9), ვერცხლის ჯილდო დაისაკუთრეს უნგრელმა სპორტსმენებმა **კ. რეგოციმ და ა. სალაიმ** — 99,72 (18), III ადგილზე გავიდნენ **ი. მოისეევა და ა. მინენკოვი** — 98,16 (26).

თავისი ნახაზით ყველაზე საინტერესო იყო ამ უკანასკნელთა ნებისმიერი პროგრამა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მათი „ბრინჯაო". ისინი ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე გამოვიდნენ და კვლავ საპატიო კვარცხლბეკზე აღმოჩნდნენ. ორივე საბჭოთა დუეტი მაღალი კლასისაა, მათი მწვრთნელები ე. ჩაიკოვსკაია და ლ. პახომოვა, არამარტო მუდმივ შემოქმედებით ძიებაში არიან, არამედ წარმატების გზებსაც ხედავენ. (საკდესი).

* * *

**სურათზე:** ოლიმპიადის პრიზიორები ცეკვებში. მარცხნიდან — კ. რეგოცი და ა. სალაი (უნგრეთი), მ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი, ი. მოისეევა და ა. მინენკოვი გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.



## ამჯერად სისწრაფემ გადაწყვიტა

**შარშანდელ** მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც რუპოლდინგში (გფრ) გაიმართა, საბჭოთა ბიატლონისტების ნაკრები გუნდის წევრმა, პერმელმა საერთაშორისო კლასის ოსტატმა ვ. ალიკინმა დისტანცია ყველაზე სწრაფად გაირბინა, მაგრამ 10 კილომეტრზე შეჯიბრების დროს სამიზნისთვის 5 ტყვიის დაცილებისათვის 5 წრით დაჯარიმდა. ამის მიუხედავად მან IV ადგილი მოიპოვა. მაშასადამე, სროლას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ხშირად რბენის სისწრაფეც დიდ როლს თამაშობს და, თუ ბიატლონისტს ორივე ამ თვისების შეთავსება შეუძლია, მას ყველა უფლება აქვს ოქროს მედალზე იფიქროს.

ლეიკ-პლესიდში ალიკინი სპრინტერულ დისტანციაზე მებრძოლთა შორის ერთ-ერთი პირველი წავიდა სასპარეზოდ. ამჯერად მან, როგორც წოლელა, ისე დგომელა სროლაში ათივე ტყვია ზუსტად მოარტყა სამიზნეს. კარგი დროც (32.53,10) აჩვენა, მაგრამ როგორც შედეგების საბოლოო შეჯამებამ ცხადყო, გამარჯვებისთვის ეს უკმარი გამოდგა.

20 კილომეტრზე ტურნირში ოქროს მედლის მფლობელი ლენინგრადელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ალიაბიევი ერთ-ერთი უკანასკნელი (42-ე) გავიდა „ოქროს" საძიებლად. სროლაში ერთი ტყვიის დაცილებისთვის იგი ერთი 150-მეტრიანი წრის შემოვლით დაჯარიმდა და, როცა ფინიშთან მივიდა, წამზომებმა 33.09,16 აღნიშნეს. ამასობაში რბოლას თანდათან ამთავრებდნენ საბჭოთა სპორტსმენების მთავარი მეტოქენი — ფ. ულრიხი და კ. ზიბერტი (ორივე — გდრ). ულრიხი ფინიშისკენ ნამდვილი სპრინტერის სისწრაფით მიეშურებოდა. მართალია, წოლელა სროლის დროს 2 სამიზნე უვნებელი გადაურჩა (ამისთვის იგი ზედმეტი 300 მეტრის გავლით დაისაჯა), მაგრამ საბოლოოდ სწორედ **ულრიხმა** მოიპოვა 10 კილომეტრზე ბიატლონისტთა შეჯიბრებაში ოლიმპიური ოქროს მედალი. **ალიკინი** და **ალიაბიევი** „ვერცხლსა" და „ბრინჯაოს" დასჯერდნენ. ჩვენი გუნდის მესამე წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ტიხონოვი (იგი X, XI და XII თამაშების ჩემპიონია) IX ადგილზე გამოვიდა.

## ამიერიდან — სამგზის ჩემპიონი

**გდრ-ის** სპორტსმენმა ტ. ველინგმა პირველად საპოროს ოლიმპიურ თამაშებში დაამარცხა მსოფლიოს ყველა უძლიერესი ორჭიდელი და გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მაშინ მის წარმატებას ბევრი შემთხვევითობით ხსნიდა, მაგრამ, როცა ველინგმა საერთაშორისო შეჯიბრებებში დაამტკიცა, რომ მისი სახით სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში ნამდვილი ტალანტი გამოჩნდა, მოწინააღმდეგენი უკვე მისგან აწავლობდნენ. ველინგი კი შედეგებს სულ უფრო აუმჯობესებდა: 1976 წელს ინსბრუკის თეთრი ოლიმპიადიდანაც ტრიუმფით დაბრუნდა, ლეიკ-პლესიდში კი თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა. 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში საუკეთესო შედეგი 227,2 ქულა აჩვენა. მას უ. მალმკვისტი თითქმის 8 ქულით ჩამორჩა, ხოლო დასავლეთგერმანელი ჰ. შვარცი 8 ქულით.

მეორე დღეს, 15 კილომეტრზე რბენამ ადგილების საბოლოო განაწილებაში ერთგვარი ცვლილებები შეიტანა. მაგალითად, ფინელმა **ი. კარიალაინენმა** მალმკვისტი შეავიწროვა, ხოლო **კ. ვინკლერმა** (გდრ) შვარცს წაართვა მესამე ადგილი. **ველინგის** დამარცხება კი ვერავინ შეძლო. იგი მესამედ გახდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

## თამაშების ტაბლო

**ფიგურული სრიალი. სპორტული ცეკვები.** ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი (სსრკ) — 101,28 (ადგილების ჯამი 9), კ. რეგოცი და ა. სალაი (უნგრეთი) — 99,72 (18), ი. მოისეევა და ა. მინენკოვი (სსრკ) — 98,16 (26), ლ. რუეხაკოვა და ს. დრასტიჩი (ჩეხოსლოვაკია) — 96,12 (40). დ. ტორვილი და კ. დინი (ინგლისი) — 95,92 (42). ლ. უაიტი და ჯ. დაუდინგი (კანადა) — 94,80 (51)... 9. ნ. ბესტემიანოვა და ა. ბუკინი (სსრკ) — 91,08 (75).

**ბიატლონი. რბენა 10 კმ სროლით.** ფ. ულრიხი (გდრ) — 32.10,69 (2), ვ. ალიკინი — 32.53,10 (0), ა. ალიაბიევი (ორივე — სსრკ) — 33.09,16 (1), კ. ზიბერტი (გდრ) — 33.32,76 (2), კ. სიობეკი (ნორვეგია) — 33.34,64 (1), პ. ზელენკა (ჩეხოსლოვაკია) — 33.45,20 (1)... 9. ა. ტიხონოვი (სსრკ) — 34.14,33 (2).

**ციგურებით რბენა. 1000 მ. ვაჟები.** ა. ჰაიდენი (აშშ) — 1.15,18. (ოლიმპიური რეკორდი). გ. ბუშე (კანადა) — 1.16,68, ფ. რიონინგი (ნორვეგია) და ვ. ლობანოვი (სსრკ), ორივე — 1.16,91, პ. მიულერი (აშშ) — 1.17,11, დე იონგი (ჰოლანდია) — 1.17,29... 9. ს. ხლებნიკოვი — 1.17,96... ა. მედენიკოვი (ორივე — სსრკ) — 1.18,92.

## მოზაიკა...

**ზამთრის** XIII ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა მრავალრიცხოვან საზრუნავს კიდევ ერთი დაემატა. ოლიმპიადის სამედიცინო კომისიის მეთაურის ტომ რილის განცხადების თანახმად ბევრი სპორტისმოყვარული, ძირითადად მახლობელ ქალაქებში მცხოვრები ამერიკელები. შეჯიბრების საყურებლად მოდიან ძალზე მსუბუქად ჩაცმულები, უქუდოდ. და... საზაფხულო სანდლებშიც კი. ამინდი კი ძალზე მაცდურია. მზე ანათებს, მაგრამ თერმომეტრის სვეტი ზოგჯერ მინუს 10 გრადუსს აჩვენებს და მთებიდან განუწყვეტლივ უბერავს ცივი ქარი. ყველაფერ ამის შედეგად ბოლო სამ დღეს 200-მდე მოყინული კაცი მიიყვანეს ადგილობრივ ჰოსპიტალში.

— **უნდა** გამოვტყდე, რომ ყოველთვის, როცა ჩვენი ბობით ვეშვებით, მუდამ შიში განვიცადი — აღიარა 110 მეტრზე თარჯრბენში 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ამერიკელმა ვ. დავენპორტმა. იგი ლეიკ-პლესიდში მასპინძელთა ოთხადგილიანი ბობსლეის ეკიპაჟშია, როგორც ქანის მიმცემი. დავენპორტი თამაშების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მიიწვიეს ამ კვარტეტში და ისიც სიამოვნებით დათანხმდა, ვინაიდან ერთხელ კიდევ მიეცა საშუალება გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონი. დავენპორტი თვლის, რომ თარჯმორბენლის თვისებები, სისწრაფე და მოძრაობის კოორდინაცია ბობსლეისთვის აუცილებელია.

დავენპორტი პირველი ზანგი სპორტსმენია, რომელიც აშშ-ის ზამთრის სახეობების ოლიმპიურ ნაკრებში ჩაირიცხა.





**სურათებზე:** ბიატლონისტთა სპრინტერულ რბოლაში მეორე ადგილზე გასული ვ. ალიკინი ცეცხლის ხაზზე; მოციგურავე ვაჟთა შორის 1000 მეტრზე ასპარეზობის პრიზიორები. მარცხნიდან — გ. ბუშე (კანადა), ე. ჰაიდენი (აშშ), ვ. ლობანოვი (სსრკ) და ფ. რიონინგი (ნორვეგია).

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

● ჭადრაკი

# პრეტენდენტის საგზურისთვის

ფიდე-ს 39-ე კონგრესმა, რომელიც XVIII საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში (1968 წ. ოქტომბერი) ლაიფციგში ჩატარდა, ქალთა შორის მსოფლიო პირველობის გათამაშებაში საზონათშორისო ტურნირისა და პრეტენდენტთა მატჩების შემოღებით კიდევ უფრო გაამძაფრა ჭიდილი პრეტენდენტის საგზურისთვის. იგი თითქმის დაუახლოვდა ვაჟთა შორის პირველობის სისტემას. თითქმის იმიტომ, რომ ვაჟები მეოთხედფინალურ მატჩებსაც თამაშობდნენ.

1971 წლის მაისში იუგოსლავიის მაღალმთიან აგარაკ ოხრიდში გაიმართა I საზონათშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 9 ქვეყნის 18 წარმომადგენელმა. ბრწყინვალედ იასპარეზა ნ. ალექსანდრიამ — 13 ქულით I ადგილი დაიკავა. II-III ადგილები გაიყვეს გამოცდილმა ოსტატებმა ტ. ზატულოვსკაიამ (სსრ კავშირი) და მ. ლაზარევიჩმა (იუგოსლავია) — 12-12.

ეს „შესანიშნავი სამეული" და მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილთან შეხვედრაში დამარცხებული ა. კუშნირი პრეტენდენტებად გამოცხადდნენ. საჭადრაკო პრესა ერთსულოვანი იყო მათი შესაძლებლობის შეფასებაში. მაგრამ მაინც გამოყოფდნენ ნ. ალექსანდრიას, როგორც მზარდ მოჭადრაკეს. საქმე ისაა, რომ 1968-1970 წლების მანძილზე ნანამ ორჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ოხრიდში კი მისი გამარჯვება ბევრისმეტყველი იყო.

ინტერესი ნახევარფინალური მატჩებისადმი კიდევ უფრო გაიზარდა, როცა წილისყრის შედეგები გამოქვეყნდა. ალექსანდრიას მეტოქედ ლაზარევიჩი შეხვდა, კუშნირს — ზატულოვსკაია. ნანას არ გამოუდიოდა თამაში იუგოსლაველ მოჭადრაკეთა ლიდერთან. მაგალითად, ოხრიდში ორი წაგებული პარტიიდან ერთი სწორედ ლაზარევიჩთან ჰქონდა. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ბრძოლა თავიდანვე დაიძაბებოდა.

ალექსანდრია და იმდროინდელი მისი მწვრთნელი დიდოსტატი ბ. გურგენიძე საგულდაგულოდ მოემზადნენ. ისინი ღრმად ჩაწვდნენ ლაზარევიჩის შემოქმედებას, ამოიკითხეს მისი თამაშის ხარვეზები.

იმავე, 1971 წლის ზაფხულში დაიწყო პრეტენდენტთა ნახევარფინალური შეხვედრები. ალექსანდრია—ლაზარევიჩის მატჩი გაიმართა ჰოლანდიის ქალაქ ბლადელში, კუშნირ—ზატულოვსკაიას ორთაბრძოლა — მინსკში. თითოეულ მატჩში 10 პარტია უნდა გათამაშებულიყო.

ნანამ სტარტზევე ხელთ იგდო ინიციატივა: ზედიზედ ორი პარტია მოიგო, მესამე შეხვედრა ყაიმით დასრულდა, მაგრამ მეოთხეში დამარცხდა. კიდევ ორი ყაიმის შემდეგ, ნანამ მეშვიდე პარტია მოიგო. ლაზარევიჩმა არ დაყოვნა რევანში. ბრძოლა უკიდურესობამდე დაიძაბა. მაგრამ ალექსანდრიამ მტკიცე ხასიათი გამოავლინა. ორი დასკვნითი პარტია ყაიმით დაამთავრა და მატჩშიც გაიმარჯვა — 5,5:4,5.

ყრანაკლებ მღელვარედ მიმდინარეობდა კუშნირ—ზატულოვსკაიას ორთაბრძოლა. ათ პარტიაში ყაიმით მხოლოდ ერთი დამთავრდა. დასაწყისში კუშნირმა ზედიზედ სამი პარტია მოიგო და ზედიზედ ორი წააგო. მერე მეტოქენი მონაცვლეობით იგებდნენ. საბოლოოდ ზატულოვსკაია დამარცხდა — 4,5:5,5.

დიდ იმედებს ვამყარებდით ალექსანდრიაზე ფინალურ მატჩში კუშნირთან. ნანას აღმავლობითი პერიოდი ჰქონდა, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა: იგი მალე დედა უნდა გამხდარიყო და მთელი ძალით ვერ იბრძოლა. ალექსანდრია—კუშნირის მატჩი შედგა 1971 წლის ნოემბერში, კისლოვოდსკში და ნანამ თითქმის უბრძოლველად დათმო პრეტენდენტის საგზური (2,5:6,5).

1972 წელს რიგაში ნ. გაფრინდაშვილმა კვლავ სძლია კუშნირს (8,5:7,5) და მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ამასობაში მსოფლიოში უკვე დაიწყო 1972-1975 წლების ციკლის ზონალური ტურნირები.

თ. გიორგაძე.

(გაგრძელება იქნება).

დასაწყისი იხ. „ლელო" № 34.

### ვინ შეხვდება მაია ჩიბურდანიძეს?

● ცურვა

# რა გვიჩვენა შედარებამ?

**შარშან** ამ დროს, როცა საქართველოს მოცურავეთა პირადგუნდური პირველობა გაიმართა, ჩვენმა სპორტსმენებმა ფრიად სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს. შეჯიბრება 3 დღეს გრძელდებოდა და სამივე დღე რესპუბლიკური რეკორდებით აღინიშნა, ამასთან 19-ჯერ წამმზომებმა სპორტის ოსტატის ნორმატივზე უკეთესი შედეგები აჩვენეს. ბევრიც მჭიდროდ მიუახლოვდა ამ ნორმატივს. მაშინ ვწერდით, რომ ამდენი სპორტის ოსტატის შედეგი სეზონის სტარტზე კი არა, სპორტული ფორმის ზენიტშიც, საკავშირო შეჯიბრებებზეც არ უჩვენებიათ ჩვენს მოცურავეებსო.

და აი ახლაც, როგორც შარშან, იმავე დროს დამთავრდა საქართველოს მოცურავეთა ზამთრის პირად-გუნდური პირველობა. გადავწყვიტეთ წლევანდელი და შარშანდელი შედეგები შეგვედარებინა.

შესაძლოა შემოგვედავონ: ასეთი შედარება ერთობ პირობითი იქნება, ვინაიდან წლევანდელ პირველობაში 1963 წელსა და უფრო გვიან დაბადებულნი მონაწილეობდნენო. ეს ასეა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შედარებით მაინც არაფერი დაშავდება. წლევანდელ ასპარეზობაში ხომ ფაქტიურად საქართველოს თითქმის ყველა საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. მათი ერთი ნაწილი უკონკურსოდ გამოდიოდა (ასპარეზობაში საქართველოს ნაკრების მხოლოდ ოთხმა წევრმა, თბილისელებმა დ. იაკოვლევმა, ე. სივაპლიასოვმა, ბათუმელმა ა. გორბუნოვმა და ქუთაისელმა ი. გერასიმოვამ ვერ მიიღეს მონაწილეობა. ისინი სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად შეკრებაზე იმყოფებოდნენ).

ასე იყო თუ ისე, წლევანდელ პირველობაში ვერც ერთი რესპუბლიკური რეკორდი ვერ გაუმჯობესდა და შარშანდელთან შედარებით 12-ით ნაკლები სპორტის ოსტატის შედეგი აღინიშნა.

— საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის შემდეგ ბევრმა მოცურავემ დატოვა საქართველოს ნაკრები, — გვეუბნება რესპუბლიკის მოცურავეთა უფროსი მწვრთნელი **კ. რეშეტნიაკი**. — ნაწილი თვითონ მივიდა ასეთ დასკვნამდე, ხოლო მეორე ჯგუფი, რომელიც არაფრის იმედს აღარ იძლეოდა, ჩვენ თვითონ გავრიცხეთ. სამაგიეროდ, ნაკრებში ახალგაზრდებს დავუთმეთ ადგილი. სამწუხაროდ, მათი მომზადების დონე აშკარად სუსტი იყო და არის. ცურვის ტექნიკაშიც მოიკოჭლებენ და ფიზიკურ მომზადებაშიც. ამიტომ ჯერჯერობით არც შედეგები აქვთ ხეირიანი. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ სპორტსაზოგადოებები მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ კარგი მოცურავეების აღზრდა-დაოსტატებისთვის.

უთუოდ უნდა დავეთანხმოთ უფროს მწვრთნელს. მისი სიტყვები მაშინაც გვენიშნა, როცა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპორტსაზოგადოებების მიერ განაწილებულ გუნდურ ადგილებს გადავავლეთ თვალი: „განთიადი", „დინამო", „ლოკომოტივი" და „ვოდნიკი". ეს იყო და ეს. დანარჩენი გუნდები საპრიზო ადგილებისთვის არ იბრძოდნენ. საკითხავია, რით უნდა იმართლონ თავი „შრომითი რეზერვების", „ბურევესტნიკის", განათლების სამინისტროსა და ასკ-ს წარმომადგენლებმა, რომლებთანაც მეტ-ნაკლებად მისდევენ ცურვის განვითარებას?

ახლა ქალაქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიერ განაწილებულ გუნდურ ადგილებსაც გადავავლოთ თვალი: თბილისი-I (6662 ქულა), რუსთავი (3117), აჭარა (2783), ქუთაისი (2136), თბილისი-II (1939), ჭიათურა (92).

როგორც ხედავთ, მათ მიერ დაგროვებულ ქულებს შორის ფრიად დიდი განსხვავებაა. აშკარად არ იგრძნობა კონკურენცია, გაოცებას იწვევს ქუთაისელთა ერთობ ხელსახები ჩამორჩენა. მათ ქალაქში ორი შესანიშნავი აუზია, მაგრამ...





დიდ იმედებს ვამყარებდით რუსთაველ მოცურავეებზე, როცა რამდენიმე წლის წინათ მათთან საცურაო აუზი აშენდა. ახლა მეტალურგთა ქალაქშიც ორი აუზია, მაგრამ მათი მუშაობით მწვრთნელები ძალზე უკმაყოფილონი არიან — ვერა და ვერ მოაგვარდა რიგიანად გათბობის საქმე. ბუნებრივია, ეს სრულფასოვანი ვარჯიშისთვის დიდი წინაღობაა. ახლა, წარმოიდგინეთ, მათი გუნდი რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში II ადგილს დაიკავებს, სხვათა მომზადების დონე როგორიღა უნდა იყოს. აღარას ვამბობთ ტყიბულისა და აფხაზეთის წარმომადგენლებზე, რომელთა გუნდები შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

როცა საქართველოს მოცურავეთა უფროს მწვრთნელს გადახალისებული ნაკრებიდან პერსპექტიული მოცურავეების აღნიშვნა ვთხოვეთ, პასუხი გაუჭირდა. ბოლოს მხოლოდ თბილისის „განთიადის" წარმომადგენელი ზ. კუჭუხიძე გამოარჩია. ძველი გვარდიის წარმომადგენელთაგან კ. რეშეტნიაკი, ასე თუ ისე, მხოლოდ ნ. ზალდასტანიშვილის (თბილისის „დინამო"), ლ. ციბულსკაიასა და პ. ერემაძის (ორივე — თბილისის „განთიადი") გამოსვლებითაა კმაყოფილი, რომლებიც თავიანთ საუკეთესო შედეგებს მიუახლოვდნენ.

ერთი სიტყვით, შარშანდელი ოპტიმიზმი შარშანდელი თოვლივით გაგვიქრა — ახალგაზრდობა დიდი იმედის საფუძველს არ იძლევა და თუ გვინდა, რომ ყინული გალღვეს, მკაცრად უნდა მოვთხოვოთ ნაკრებისთვის სრულფასოვანი კანდიდატების აღზრდა როგორც პერიფერიების, ისე დედაქალაქისა და სპორტსაზოგადოებების წარმომადგენლებს.

ა. გურასაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ნ. ზალდასტანიშვილი; ლ. ციბულსკაია ასპარეზობისას.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

● წყალბურთი



# უჩვეულო ანგარიშებით

**საქართველოს** სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა თბილისელ წყალბურთელთა (1964-65-66 წლებში დაბადებულნი) პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ განათლების სამმართველოს, „დინამოს", „ლოკომოტივისა" და „ბურევესტნიკის" გუნდები. ტურნირის მთავარი მიზანი იყო პერსპექტიული მონაცემების მქონე სპორტსმენთა გამოვლენა, რომლებიც გაისად ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

ასპარეზობის პირველ დღეს „დინამომ" ანგარიშით 16:0 სძლია „ლოკომოტივს". განათლების სამმართველოს ნაკრებმაც ასევე დამაჯერებლად—16:1 მოუგო „ბურევესტნიკს". რაც შეეხება ლიდერთა შეხვედრას, იგი მძაფრი ბრძოლით აღინიშნა და ფრედ — 3:3 დამთავრდა.

უკანასკნელ ტურში განათლების სამმართველოს გუნდმა მოუგო რკინიგზელ წყალბურთელებს — 19:0, ხოლო დინამოელებმა „ბურევესტნიკს" სძლიეს — 24:2.

„დინამოსა" და განათლების სამმართველოს წყალბურთელებმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა მოაგროვეს, მაგრამ I ადგილი პირველებს მიაკუთვნეს (მწვრთნელები: სპორტის ოსტატი ბ. მეგედი და თ. ივანიშვილი), რომლებსაც მეტოქეზე უკეთესი გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება აღმოაჩნდათ. მესამე იყო „ბურევესტნიკის" გუნდი.

მკითხველი უთუოდ ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ ლიდერები წყალბურთისთვის უჩვეულო ანგარიშით იმარჯვებდნენ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ წყალბურთის განვითარებისთვის ყველა ერთნაირი მონდომებით არ ზრუნავს.

შ. ქორიძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: დინამოელთა მწვრთნელი ბ. მეგედი თავის აღსაზრდელებთან.

გ. სხირტლაძის ფოტო.

● კალათბურთი

## თბილისის შესარჩევი პირველობა

# აღდგენის გზაზე

**ქართული** კალათბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წარმატებები. სტუდენტთა ეს კოლექტივი ის საიმედო გუნდი იყო, რომელიც ღირსეულ ცვლას უმზადებდა თბილისის „დინამოს". გავიდა წლები და სპი-ის კალათბურთელებზე მხოლოდ დასანანი მოგონება დაგვრჩა. მაგრამ, აგერ უკვე რამდენიმე წელია სხვადასხვა რანგის ადგილობრივ შეჯიბრებებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები კვლავ გამოჩნდნენ სპორტულ სარბიელზე და იმათ, ვინც თვალყურს ადევნებს ამ გუნდის გამოსვლებს, გულში იმედიც ჩაესახათ: კოლექტივი თანდათან იბრუნებს ძველ ტრადიციებს.

ამ დღეებში პოლიტექნიკოსებმა თბილისის შესარჩევ ტურნირში პირველობა და საქართველოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი მაინც ის არის, რომ ახალგაზრდა მწვრთნელებმა გ. არუთინოვმა და გ. აბაიშვილმა შეხმატკბილებული კოლექტივი შექმნეს. მათი გუნდი აშკარად გამოირჩეოდა თამაშის კლასით. ეს იმითაც დადასტურდა, რომ სპი-მ დაუმარცხებლად ჩაატარა ყველა თამაში.

პირველობისთვის გადამწყვეტ მატჩში ისინი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს შეხვდნენ და ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა — 74:68. III-IV ადგილებისთვის „ინჟმშენისა" და თბილისის განათლების სამმართველოს გუნდების დავა მოსწავლეთა სასარგებლოდ დამთავრდა — 90:84. საქართველოს ჩემპიონატში ეს ოთხი გუნდი განაგრძობს ასპარეზობას. სულ კი საგზურებისთვის თბილისის „ა" ჯგუფის 8 გუნდი იბრძოდა. რვავე კოლექტივს ადრევე ჰქონდა მოპოვებული შესარჩევ ტურნირში ბრძოლის უფლება.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ „ინჟმშენის" გუნდზე, რომელიც რამდენიმე წელია მონაწილეობს თბილისის პირველობებში. ადრე კოლექტივში სუსტი იყო დისციპლინა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა გუნდის შედეგებზე. წლევანდელი შეჯიბრების წინ მოთამაშეთა შემადგენლობა გადახალისდა და, როგორც ვნახეთ, მშენებლებმა საქართველოს პირველობაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვეს.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის თბილისის სპორტკომიტეტს და ასპარეზობის მთავარ მსაჯს ლ. აზიზოვას. მსაჯთა შორის ვხედავდით საკავშირო კატეგორიის არბიტრს მ. ქურიძეს, რომელმაც მაღალ დონეზე ჩაატარა პრინციპული მატჩები.

ასპარეზობის ორგანიზატორებმა, მსაჯებმა და გამარჯვებული გუნდის მწვრთნელებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად ერთხმად აღიარეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ი. ნასიძე (გეოლოგიური ფაკულტეტი), ა. საათაშვილი, გია ომიაძე, ა. ჩხიკვაძე (სამივე—სამთო ფაკულტეტი). პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დიდი კალათბურთის [illegible] ხელს ისიც უწყობს, რომ აქ სისტემატურად ტარდება შეჯიბრებები ფაკულტეტებს შორის.

თ. ბაქრაძე,
ზ. ხორავა.

### სტარტზე — ვეტერანები

**23 თებერვალს** კოხტაგორაზე გაიმართება საქართველოს ვეტერან სამთომთხილამურეთა პირველობა სპეციალურ და გიგანტურ სლალომში ბაკურიანის თასზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკის პირველობათა ჩემპიონები და პრიზიორები, სპორტის ოსტატები ი. ჯანგობეგოვი, გ. აბრამიშვილი, გ. ჯიქოევი, ი. ნასყიდაშვილი, შ. [illegible], ო. ხვედელიძე, გ. ჯაფარიძე და სხვები.

შეჯიბრება 12 საათზე დაიწყება.

● სასტენდო სროლა

# «მფრინავი თეფშები»... ვარკეთილში







**ადგილიდან** სროლის ცეცხლის ხაზთან ორი სპორტსმენი „არკვევს ურთიერთობას“. ჩემი მზერა გვერდით მდგომი კაცისაკენ არის მიმართული. ამ ორიდან ერთი მისი შვილია, მეორე — მოწაფე, ორივე მის „ქურაში“ გავლილი. რომელს მიანიჭებს უპირატესობას? — იგი თითქოს ფიქრს მიმიხვდა.

— ორივე ჩემი გაზრდილია, ორივეს წარმატება ერთნაირად მახარებს, — ღიმილით მეუბნება. დაეჭვება რომ შემატყო, ისევ „ბრძოლის ველს“ მიაჩერდა...

ასკ-ს სასროლეთზე თბილისის თასის მოსაპოვებლად „ლოკომოტივის“, მონკავშირისა და ასკ-ს გუნდების 32 მსროლელი იბრძოდა. შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ საკავშირო სპარტაკიადების ჩემპიონები თამაზ იმნაიშვილი და თემურ მატოიანი. ისინი ამჟამად ოლიმპიურ შეკრებაზე იმყოფებიან. ამის გამო, მრგვალ სტენდზე პირველი ადგილი წინასწარ იყო „დაჯავშნული“ სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის ტ. ქლენტის („ლოკომოტივი“) მიერ. ასეც მოხდა, ტარიელმა 6 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ დ. ქვათაძეს (ასკ) — 90 ქულა. III ადგილი დაიკავა ნ. გოცირიძემ (ასკ) — 88 ქულა.

საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა ადგილიდან სროლაში. თავიდან სამმა სპორტსმენმა — ვ. ამირხანოვმა, შ. ფეტვიაშვილმა და გ. სიმონიანმა (სამივე — ასკ) 50-დან მხოლოდ ორ-ორ სამიზნესააცილეს. ფინალში ამირხანოვმა პირველი სერია უშეცდომოდ გაიარა, ამოცანა მეორეშიც წარმატებით გადაწყვიტა, საბოლოოდ 100-დან 98 ქულა მოაგროვა და პირველობას დაეუფლა. II ადგილი დაიკავა გ. სიმონიანმა — 94 ქულა. გ. მაჩხანელმა და შ. თავაძემ (ორივე — „ლოკომოტივი“) — 93-93 ქულა მოაგროვეს. მეხამე პრიზიორის გამოსავლენად მათ შორის ... დაინიშნა.

...გია მაჩხანელმა ... მიულოცა მეტოქეს საპრიზო ადგილი.

— არა უშავს, — მომიბრუნდა თანამოსაუბრე, რკინიგზელთა მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. მაჩხანელი, — 28 თებერვალს ქუთაისში საქართველოს თასის გათამაშება იწყება. ვნახოთ, იქ რას იზამენ ჩემი ბიჭები.

— რას იტყვით დღევანდელი ბრძოლის შედეგებზე?

— მიუხედავად იმისა, რომ 10 ოსტატიდან მხოლოდ ორმა შეასრულა ეს ნორმატივი, შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ეს ხომ სეზონის პირველი შეჯიბრებაა...

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: **მრგვალი სტენდი** — ასკ — 130 ქულა, „ლოკომოტივი — 124, მონკავშირი — 104. **ადგილიდან სროლა:** ასკ — 285, „ლოკომოტივი“ — 273, მონკავშირი — 221.

თასს არმიელები (მწვრთნელი ლ. სიმონიანი) დაეუფლნენ.

ჯ. კასრაძე.

* * *

**სურათებზე:** ადგილიდან სროლის ცეცხლის ხაზზე; საერთო გუნდურ ჩათვლაში თასის მფლობელი გუნდის წევრები: მარცხნიდან — მწვრთნელი ლ. სიმონიანი, ნ. გოცირიძე, დ. მანჯგალაძე, შ. ფეტვიაშვილი, დ. ქვათაძე, გ. სიმონიანი, მ. გოგილაშვილი და ვ. ამირხანოვი; მრგვალ სტენდზე სროლაში გამარჯვებული ტ. ქლენტი.

ავტორის ფოტოები.

● ფეხბურთი

# ი. ვენგლოში: „წარმატებაც და კარგი ფეხბურთიც!“

**ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრების დაწყებამდე, რომელიც იტალიაში გაიმართება, მცირე დრო დარჩა. დასკვნით შეხვედრებში მონაწილე გუნდები გაცხარებულ სამზადისს აწარმოებენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ევროპის 1976 წლის ჩემპიონი — ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრებიც, რომელმაც მზადება ავსტრალიაში ტურნეთი დაიწყო.

ჩეხოსლოვაკიელთა მზადების, მათი გეგმების შესახებ მიცემულ ინტერვიუში ნაკრების მწვრთნელმა დოქტორ **იოზეფ ვენგლოშმა** განაცხადა:

— გუნდში მარტო ტექნიკური ფეხბურთელები როდი მჭირდება. ნაკრებში უპირატესობას ვანიჭებ რომელიმე ერთი კლუბიდან შეთამაშებულ ფეხბურთელებს. ეს არის ერთ-ერთი საწინდარი წარმატების მისაღწევად.

**— როგორია თქვენი დამოკიდებულება გუნდის „ხანდაზმული“ მოთამაშეების მიმართ?**

— ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები ნეჰოდა, ონდრუში, პანენკა უკვე 30 წლისანი არიან, მათთან ნამდვილი მეგობრობა მაკავშირებს. ისინი თავიანთი საქმის სპეციალისტები არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათგან მოვითხოვ იგივეს, რასაც სხვებისგან.

**— რა პირობებია საჭირო კოლექტივში კარგი ატმოსფეროს შესაქმნელად?**

— გუნდის ყველა წევრი ერთი სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული, სუფევდეს ერთსულოვნება მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და ჟურნალისტებს შორის. ყველას ერთი მიზანი უნდა ამოძრავებდეს — კარგი ფეხბურთი! რომელიმე საჭირო კომპონენტის არქონა გააძნელებს მიზნის მიღწევას.

**— თქვენ ფილოსოფიის დოქტორი ბრძანდებით და ამავე დროს სათავეში უდგახართ ფიზიკური აღზრდის კათედრას ბრატისლავის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გეხმარებათ თუ არა ეს ორი ფაქტორი მწვრთნელად მუშაობის დროს?**

— რასაკვირველია. ფილოსოფია მიადვილებს ფეხბურთელის „ტვინში“ ჩახედვას. ნავარჯიშევ ფეხებთან ერთად აუცილებელია საღი გონებაც. თითოეულმა ფეხბურთელმა ვარჯიშზე და მატჩის დროს უნდა მიაგნოს რაღაც ახალს. ჩემი აზრით, დღევანდელ პირობებში ფეხბურთელის მარტო ტექნიკური აღჭურვა არ არის საკმარისი. ინტელექტს დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— რა აზრისა ბრძანდებით „იღბლიანობის“ შესახებ?**

— მართალი გითხრათ, „ბედის წყალობის“ მომხრე მაინცდამაინც არა ვარ. საქმე აქამდე არ უნდა მიიყვანო. მაგრამ ეს კია, რომ ორი ერთნაირი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას ერთ-ერთი ყოველთვის „იღბლიანია“ ხოლმე.

**— გადაწყვეტილი გაქვთ თუ არა გაიმეოროთ 1976 წლის წარმატება?**

— ვინ იტყვის უარს ამგვარ გამეორებაზე? ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საამისოდ. შევეცდებით ვაჩვენოთ შემტევი, სანახაობრივი და, რაც მთავარია, შედეგიანი ფეხბურთი. წლების განმავლობაში ერთი უმაღლესი ფორმის შენარჩუნება, დამერწმუნებით, ძნელი საქმეა. ისე, როგორც მე წარმომიდგენია და მსურს, ჩვენს ნაკრებს ჯერ არ უთამაშია.

გერმანულიდან თარგმნა **მ. რადიანმა.**

# ვინ არიან მწვრთნელები?

**ცნობილია,** რომ ეროვნულ ნაკრებ გუნდებში ხშირად ცვლიან მწვრთნელებს. ამასთან დაკავშირებით უეფა-ს ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა იმ მწვრთნელთა სია, რომლებიც ამჟამად უდგანან სათავეში ევროპის ქვეყნების პირველ ეროვნულ ნაკრებ გუნდებს:

ავსტრია — **კ. შტესელი**
ბელგია — **გ. ტიისი**
ბულგარეთი — **ა. პარელოვი**
ინგლისი — **რ. გრინვუდი**
უელსი — **ჯ. ჩარლზი**
ირლანდია — **დ. ჯაილსი**
ჩრ. ირლანდია — **დ. ბლენჩფლაუერი**
შოტლანდია — **ჯ. სტეინი**
კიპროსი — **ო. ტალანოსი**
ჩეხოსლოვაკია — **ი. ვენგლოში**
დანია — **ი. პიონტეკი**
გდრ — **გ. ბუშნერი**
ფინეთი — **ე. მალმი**
საფრანგეთი — **მ. იდალგო**
საბერძნეთი — **ა. პანაგულიასი**
ჰოლანდია — **ი. შვარტკრუისი**
უნგრეთი — **კ. ლაკატი**
ისლანდია — **ი. ილიჩოვი**
იტალია — **ე. ბეარზოტი**
ლუქსემბურგი — **ლ. პილოტი**
მალტა — **ვ. სკერი**
ნორვეგია — **რ. ფროსენი**
პოლონეთი — **ა. კულეშა**
პორტუგალია — **მ. ვილსონი**
რუმინეთი — **კ. ჩერნიანუ**
სსრ კავშირი — **კ. ბესკოვი**
ესპანეთი — **ლ. კუბალა**
შვეცია — **ლ. ანდერსონი**
შვეიცარია — **ლ. უოლკერი**
თურქეთი — **მ. ტურელი**
გფრ — **ი. დერვალი**
იუგოსლავია — **მ. მილიანიჩი.**

## ჟ. ავილანჟი კოლუმბიაში

**ფიფა-ს** პრეზიდენტი, ბრაზილიელი ჟ. ავილანჟი ამჟამად კოლუმბიაში მოგზაურობს, სადაც, როგორც ცნობილია, 1986 წელს გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ფეხბურთში. პრეზიდენტის მიზანია შეამოწმოს თუ რამდენად შეძლებს კოლუმბია უმასპინძლოს 24 გუნდს.

## ახალი მსოფლიო რეკორდი

დაამყარა 25 წლის შვედმა მიქაელ ჰალმკვისტმა, რომელმაც 9 საათისა და 25 წუთის განმავლობაში 71.003-ჯერ აკენწლა ბურთი. ძველი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ასევე შვედების მფლობელობაში იყო, შეადგენდა 68.315 აკენწვლას.

## ახალი მწვრთნელი

**ბულგარეთის** ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატისათვის ახალი მწვრთნელი მოამზადებს. ესაა 50 წლის ათანას პარელოვი, რომელმაც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ამ პოსტზე შეცვალა დ. ტამკოვი.

## „სკანდალური შეხვედრა“

**ასეთი** შეფასება მისცა ჰოლანდიის პრესამ ამხანაგურ მატჩს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამართა ამ ქვეყნის ნაკრებმა ესპანეთში. გადაუღებელმა წვიმამ მინდორი გაუვალ ჭაობად აქცია. თამაშის დაწყებამდე 20 წუთით ადრე გამოირთო ხელოვნური განათება, 10 წუთის მერე ჩაირთო და მალე კვლავ გამოირთო. ჰოლანდიელებმა თამაში შეწყვიტეს და მხოლოდ ოცი ათასი მაყურებლის პროტესტის და ფრანგი მსაჯის დაჟინებული მოწოდების შემდეგ დაუბრუნდნენ მინდორს. ეს შეხვედრა ესპანელებმა თავიანთ სასარგებლოდ 82-ე წუთზე გადაწყვიტეს: დანიმ ზუსტად გამოიყენა თერთმეტმეტრიანი, მანამდე კი კვეს კისტმა მოატყუა ესპანელთა ორი მცველი, მეკარე არკონდა და ცარიელ კარში დაარტყა ბურთი, რომელმაც ძლივს მიაღწია ხაზამდე და... წყალში გაჩერდა.

## რუმინელთა ტურნე

**ორმოცდღიან** ტურნეში გაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში რუმინეთის ეროვნული ნაკრები, რომელიც კოლუმბიელებს, არგენტინელებს და ბრაზილიელებს შეხვდება.

# მ ო კ ლ ე დ

**ყოველკვირეული** ჰოლანდიური გამოშვება „ფუტბოლ ინტერნეიშნლი“ იუწყება, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჯონი დუსბაბა აღარ აპირებს დარჩენას ბელგიის „ანდერლეჰტში“ და სამშობლოში ბრუნდება. მიზეზი, როგორც თვით ფეხბურთელმა განაცხადა, ისაა, რომ იგი ვერ გაუწევს კონკურენციას პოლონელ ანტონ შიმანოვსკის და ამიტომ ამჯობინებს „ანდერლეჰტის“ დატოვებას.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**შვეიცარიის** ეროვნულ ნაკრებს ბოლო წლების მანძილზე ერთობ მოკრძალებული შედეგები აქვს საერთაშორისო სარბიელზე. ამასთან დაკავშირებით პრესა არაერთხელ გამოვიდა მკაცრი კრიტიკით, უფროსი მწვრთნელი რ. ვოლანი იძულებული იყო განცხადება დაეწერა ამ თანამდებობიდან თავისი განთავისუფლების თაობაზე. ვაკანსია ჯერჯერობით შეავსო ლეონ უოლკერმა, შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა.

**გაზეთები** იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიული ლიგის ფეხბურთელთა შორის პირველი წითელი ბარათი დაიმსახურა ჰოლანდიელმა რისბერგენმა ნიუ-იორკის „კოსმოსიდან“. მას უხეშად უთამაშია „ფილადელფია ფიურისთან“, რისთვისაც გაუძევებიათ მინდვრიდან.

**38 წლის** პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ეუსებიომ კიდევ ერთხელ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ თავს ანებებს აქტიური მოთამაშის კარიერას და ბრუნდება ლისაბონში.

## ახალი ტურნირი?

**ცნობილი** უნგრული გაზეთის „ნეპშპორტის“ კორესპონდენტი ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის „ბოჰემიანსის“ მწვრთნელს **ვაცლავ ირას,** რომელიც ამავე დროს უეფა-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკია. ვ. ირამ ინტერვიუში ილაპარაკა ფეხბურთის ასოციაციათა ევროპული კავშირის უახლოეს გეგმებზე.

კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მხარდაჭერა ჰპოვა წინადადებამ ყოველწლიურად ჩატარდეს საერთაშორისო ტურნირი 16 წლამდე ჭაბუკთათვის. ამ ასაკში კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევიან გფრ-ის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელები.

ვ. ირამ განაცხადა, რომ უეფა-ს განზრახული აქვს თვითვე უხელმძღვანელოს მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევი ჯგუფების წილისყრას და დაკომპლექტებას ევროპაში, ვინაიდან ესაა მისი და არა ფიფა-ს პრეროგატივა. ამასთან, მან დაუმატა, რომ ამ საკითხზე აუცილებლად მოსალოდნელია ფიფა-ს ნეგატიური რეაქცია.

დაბოლოს, უეფა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს საკლუბო და ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრებს, ვინაიდან ოფიციალური ტურნირები ევროპაში ჯერ კიდევ ცოტაა, ხოლო მათ, ვისაც სურს თავისი ძალების გამოცდა და ამით ფეხბურთის პროპაგანდა, გაცილებით მეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხვალ „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში

22 თებერვალს 15 საათიდან თბილისის „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში დაიწყება წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საინტერესო ზამთრის შეჯიბრება მძლეოსნობაში. სტარტზე მეშვიდედ გამოვლენ საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის იუნიორთა ნაკრები გუნდები. როგორც ცნობილია, აქამდე მათ შორის ჩატარებული მატჩების ანგარიში საყაიმოა — 3:3.

თბილისის მძლეოსნობის სასახლეში მაყურებლები ნახავენ საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის, ევროპის ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს თანატოლთა შორის. მომავალი ოლიმპიელების ეს დუელი, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, რამდენიმე მიღწევას გვპირდება (ბაზის მისამართია ა. წერეთლის პროსპექტი № 95 ა).

## ვ. ი. ყიფიანი



მძიმე დანაკლისი განიცადა ... 75 წლისა გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვერა ივანეს ასული ყიფიანი.

ვ. ი. ყიფიანი დაიბადა 1905 წელს ლენინგრადში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1918 წლიდან. 1941-45 წლებში მუშაობდა ლენინგრადის ფრონტის დაწესებულებებში, ომის შემდგომ წლებში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის აღდგენითს სამუშაოებში.

1949 წლიდან გადმოდის თბილისში. სადაც 1957 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ უბნებზე, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან გამოირჩეოდა პატიოსანი, უმწიკვლო საქმიანობით. მთელი მისი ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპორტთან. 1938 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

როცა საქართველოში აკადემიური ნიჩბოსნობის განვითარება გადაწყდა, ეს საქმე ვ. ი. ყიფიანს მიანდეს. 1957 წლიდან 1968 წლამდე საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო. მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის ნაკრებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე. რისთვისაც ვ. ყიფიანს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. მასვე მინიჭებული ჰქონდა „საკავშირო მსაჯის“ წოდება.

პენსიაზე გასვლის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე იყო ნიჩბოსნობის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, საკავშირო მსაჯთა კოლეგიის წევრი.

ვ. ი. ყიფიანი დაჯილდოებული იყო მედლებით „ლენინგრადის დაცვისთვის“, „1941-45 წწ. დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისთვის“, მთავრობის სხვა მედლებით და ჯილდოებით.

საქართველოს სპორტკომიტეტი, აკადემიური ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.

გაზეთ „ლელოს“ პრიზებზე

# ტრასაზე ქალები არიან

კვლავ ქირვეულობს ამინდი ბაკურიანში — ცივა, თოვს... თუმცა თოვლის მარაგის დაგროვებას თავისი დადებითი მხარეც აქვს — იგი ხომ მარტის სტარტების დროს გამოადგებათ მოთხილამურეებს.

გუშინ გიგანტური სლალომის ტრასაზე 58 ქალი ასპარეზობდა. პირველ ცდაში გამოცდილმა ოსტატმა ნ. ზელოვამ („ბურევესტნიკი“) ისეთი მაღალი შედეგი აჩვენა (1.19,23), რომ თითქოს არავითარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს, თვითონ განსაჯეთ: მეორე შედეგი (იგი დინამოელ ლ. რეუსს ჰქონდა), მხოლოდ 1.20,09-ს უდრიდა. ტ. პივოვარჩიკი („დინამო“) მესამე იყო — 1.20,63.

მაგრამ მეორე ცდაში ზელოვამ



ტრასის დასაწყისშივე დაუშვა შეცდომა, კარი გამოტოვა და პირველობა მეტოქეებს დაუთმო. პივოვარჩიკმა 1.18,33 აჩვენა და გამარჯვებაც მოიპოვა. მისი საერთო დრო 2.38,96. მეორე ადგილზეა რეუსი — 2.39,06, მესამეზე — ნ. პერჩატკინა (2.39,56).

ჩვენი გუნდის ლიდერი, სპორტის ოსტატი მ. კოზანაშვილი ამჯერად მხოლოდ 21-ე იყო — 2.51,43.

დღეს კოხტაზე სპეციალურ სლალომში ვაჟები შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ო. ნოზაძე.

(ტელეფონით. „ლელოს“ სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: მ. კოზანაშვილი ასპარეზობისას.

ნ. ქარელის ფოტო.

● ჭადრაკი

## ლიდერი შეიცვალა

ქუთაისი, 20 თებერვალი (ტელეფონით. ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის მაიობრივ ტურნირში გუშინ IX ტურის შეხვედრები გაიმართა.

ყურადღების ცენტრში იყო ერთპიროვნული ლიდერის დ. გურგენიძისა (საგარეჯო) და ოსტატ ჯ. ბერაძის (წყალტუბო) შეხვედრა. საგარეჯოელმა მოჭადრაკემ უხეიროდ გაითამაშა ძველინდური დაცვა, უარეს პოზიციაში აღმოჩნდა და დამარცხდა. ეს იყო მისი პირველი წაგება ამ ტურნირში.

კ. შავგულიძემ (ქუთაისი) მოუგო მ. ქიპაშვილს (თბილისი). ი. სიფრაშვილმა (სიღნაღი) — ტ. კალიევს (სამხრეთ ოსეთი). ლიდერთა ჯგუფის სხვა წევრებმა წარუმატებლად ითამაშეს: რ. კაპანაძე (თბილისი) დამარცხდა ტ. მეტრეველთან (რუსთავი), მ. არჩვაძე (სამტრედია) — ე. გველესიანთან (რუსთავი). ტ. ცოტნიაშვილი (სამხრეთ ოსეთი) — პ. ხეცურიანთან (თბილისი), რ. ხოჭავა (აფხაზეთი) — ა. ბლიუმგარდთან (ქუთაისი). გადაიდო გ. გიორგაძე (ქუთაისი) — ი. მანაშეროვის (ხაშური) პარტია.

9 ტურის შემდეგ დაწინაურდა ა. შავგულიძე — 8 ქულა. შემდეგ მოდიან დ. გურგენიძე — 7,5, ი. სიფრაშვილი, ჯ. ბერაძე — 7-7, ტ. მეტრეველი — 6,5.

ზ. ბურკაძე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

● წყალში ხტომა

## ლიანა მეორეა

სარატოვში დაიწყო წყალში მხტომელთა საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზებზე. ქალთა შორის კოშკიდან ხტომაში დაწინაურდა პენზელი ტ. ბელიაკოვა („ტრუდი“). მისი რთული ვარჯიშები სიზუსტითა და სტაბილურობით გამოირჩეოდა. II ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი, თბილისელი ლ. ცოტაძე („განთიადი“). მან ცუდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა და ბოლო სერიაში ჩამოიტოვა ე. მატიუშენკო (ელექტროსტალი), რომელიც მანამდე მეორე ადგილზე იმყოფებოდა.



● მშვილდოსნობა

## შუა დისტანციაზე

კლაიპედაში გრძელდება ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. მონაწილეებმა ასპარეზობის ნახევარი გაიარეს — შეჯამდა შედეგები მ-1 ვარჯიშში. ვაჟთა შორის დაწინაურებულმა ვ. იშეევმა („დინამო“) 1342 ქულა მოაგროვა, რაც 40 ქულით აღემატება მსოფლიო მიღწევას. გ. კირიჩენკო და ა. კისლიცინი (ორივე — შეიარაღებული ძალები) ლიდერს საგრძნობლად ჩამორჩებიან. მათ შესაბამისად 1289 და 1284 ქულა მოაგროვეს, რაც II და III შედეგებია.

ქალთა შეჯიბრებაში მეორე დღეს მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონმა, დინამოელმა ნ. ბუტუზოვამ და ორი დღის შემდეგ II ადგილზე გადაინაცვლა — 1298 ქულა.

შეჯიბრებას 1301 ქულით კვლავინდებურად ლიდერობს ქ. ლოსაბერიძე („ბურევესტნიკი“). სპორტის დამსახურებული ოსტატი დინამოელი ზ. რუსტამოვა, რომელიც ლიდერთან 6 ქულას აგებს, III ადგილზე იმყოფება.

ტურნირის მეორე დღეს 30 მეტრზე შეჯიბრებაში დინამოელმა ლ. ლებედევამ 349 ქულას მოუყარა თავი. ეს საკავშირო მიღწევაა.

● სამბო

## ასპარეზობენ სოფლის ფალავნები

მაიკოპში გაიმართა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა სამბოში. 95 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა კასპელმა ო. ყურაშვილმა („კოლმეურნე“). საპრიზო ადგილებზე გავიდნენ აგრეთვე „კოლმეურნის“ წარმომადგენლები, სოხუმელი ზ. ბოკუჩავა (71 კგ, II ადგილი) და თბილისელი დ. ოდიშვილი (78. III ადგილი).

სამივე სპორტსმენი შეყვანილია სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ნაკრებ გუნდში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში იასპარეზებს.

# ამაგდარის გაცილება

ეს დღე ქართველი ჩოგბურთელებისთვის საზეიმოც იყო და სევდიანიც: ერთის მხრივ, წლების მანძილზე უნახავ მეგობრებთან შეხვედრა, მეორეს მხრივ კი, ამაგდარი ადამიანის დამსახურებულ პენსიაზე გაცილება.

თბილისის ჩოგბურთის სასახლეში, მარჯანიშვილის მოედანთან რომ მდებარეობს, თავი მოეყარათ ქართული ჩოგბურთის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს ალექსანდრე მეტრეველის მეთაურობით. აქ იყვნენ 1936 წელს შექმნილი ცენტრალური საჩოგბურთო სკოლის აღმზრდელები ვანო ელერდაშვილი და ლია ზაკსი, თამარ ჩემერინა და ლეონიდ ჟამგოცევი — ისინი, ვინც ჯერ კიდევ 1938 წელს მოიპოვა სსრ კავშირის თასი.

ის კი, ყველასათვის საყვარელი „დეიდა კლავა“ — წლების მანძილზე საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი კლავდია მინაევა, ერთგული მეგობრებისა და მოწაფეების გარემოცვაში, ძლივს იკავებდა ცრემლებს.

კარგი სპორტსმენი კ. მინაევა წლების მანძილზე იცავდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ (ცენტრალური საბჭოს ღირსებას ჩოგბურთსა და ფრენბურთში), შესანიშნავი დედა და მეოჯახე — ასეთად იცნობენ მინაევას სპორტულ წრეებში. ჩოგნის ოსტატები კი მას ჩოგბურთის დიდი ოჯახის „დიასახლისსაც“ უწოდებდნენ — იგი ხომ დიდ მზრუნველობას იჩენდა ყველას მიმართ: გოგონებს ტანსაცმელს მოარგებდა, თვითონვე ჰკერდა და უკერავდა კიდეც. იქვე, ჩოგბურთის კორტებზე, გაჭიანურებული ასპარეზობისას, საჭმლით ამარაგებდა მოთამაშეებს. ამიტომ იყო, რომ „დეიდა კლავას“ გარშემო მუდამ სიმყუდროვე და სითბო იგრძნობოდა.

იშვიათად გულთბილი იყო იმ საღამოს მონაწილეების გამოსვლაც. ბევრი კარგი სიტყვა უთხრეს ამაგდარ სპორტსმენს ევგენია ვერმიშევამ და მარიამ კლდიაშვილმა, ირინა რიაზანოვამ და რენა აბჟანდაძემ, ალა ივანოვამ და ალექსანდრე ვერულავამ, მარლენ ქობალიამ და იური გეგელაშვილმა, ვანო ელერდაშვილმა და შოთა კალანდარაშვილმა.

— ვერ წარმოგვიდგენია ჩოგბურთი და კლავა მინაევა ურთმანეთოდ — ასეთი იყო დარბაზში შეკრებილთა საყოველთაო აზრი.

იმედია, რომ კლავა მინაევა კვლავაც ხშირად ეწვევა მისთვის ესოდენ ძვირფას კორტებს.

ზ. ღოღობერიძე.

# საუკეთესო ტექნიკისათვის

ი. გაგარინის სახელობის ვარსკვლავთქალაქში გაიმართა საკავშირო შეჯიბრება კარატეში. ამ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებმა მიიღო საუკეთესო ტექნიკისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი.

● მხიარული ფანჯრით



უსიტყვოდ

ვ. კუციას ნახატები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**„განთიადის“** ცენტრალური საბჭო და „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლის დირექცია აცხადებენ, რომ უფროსი და საშუალო ასაკის მშრომელთა საერთო ფიზიკური მომზადების გაუმჯობესების მიზნით მძლეოსნობის სასახლესთან **პირველი მარტიდან იხსნება ჯანმრთელობის ჯგუფები.**

ჯგუფებში მეცადინეობა შეუძლიათ ორივე სქესის მოქალაქეებს. მეცადინეობა იწარმოებს დილის 9-დან 10 საათამდე და საღამოს 7-დან 8-საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება სასახლის დირექციაში.

**მისამართი:** წერეთლის პროსპექტი № 95-ა. ტელეფონი 34-70-09, 34-77-29, 34-77-09.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო, სასახლის დირექცია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უა 10046